პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 დეკემბერი, ოთხშაბათი
1968
ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი
№ 299 (14295)

გუშინ თბილისში
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს სხდომათა დარბაზში
გაიხსნა
საქართველოს სსრ მეშვიდე
მოწვევის უმაღლესი
საბჭოს მეოთხე სესია



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1968 წელი 24 დეკემბერი. საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სხდომა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ხუთწლედის მტკიცე ნაბიჯი

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

24 დეკემბრის დილის სხდომა

დასასრულს უახლოვდება 1968 წელი — ხუთწლედის მესამე წელი. დიდი კმაყოფილებით, კეთილი, ნათელი გრძნობით აცილებს მას საბჭოთა ხალხი. იგი კომუნისტური მშენებლობის მატიანეში შევა როგორც სკკპ XXIII ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ახალი შრომითი გმირობის წელი, როგორც მშვიდობისა და პროგრესის ძალების ახალ გამარჯვებათა წელი.

დიდია შრომითი შემართება, კარგად მიდის მუშაობა. მერვე ხუთწლედი მტკიცედ მოაბიჯებს საბჭოთა მიწა-წყალზე. ფართოვდება, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო მოძრაობად იქცა ვ. ი. ლენინის — საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მშრომელები — ყველა პროფესიისა და ასაკის ადამიანები ამ დღისათვის ამზადებენ თავიანთ შრომითს საჩუქრებს.

ხუთწლედის მესამე წელი საბჭოთა ადამიანებისათვის სავსე იყო დიდმნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი მოვლენებით.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც გაიმართა დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინა ხანებში და რომელმაც განიხილა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მისი გადაწყვეტილებანი მთელმა საბჭოთა ხალხმა აღიქვა როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

შესანიშნავი პერსპექტივები, წინსვლის ახალი მიჯნები დაუსახა საბჭოთა ხალხს სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებულმა მეხუთე სესიამ, რომელზეც განიხილეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები, მიიღეს დადგენილებანი, რომელთა მიზანია ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება.

სიხარულით, მიღწეული წარმატებებისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით ეგებებიან მომავალ წელს ორგზის ორდენოსანი საქართველოს მშრომელები. მათ პარტიის მიერ დასახული გეგმების განხორციელებას მოახმარეს მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენერგია, გონებისა და შთაგონების ძალა და მოიპოვეს ახალი გამარჯვებანი ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის 11 თვის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა. წლის დამლევამდე გამოუშვებენ კიდევ ბევრ ზეგეგმითს პროდუქციას.

მუშათა კლასთან ერთად საზოგადოებრივ სიმდიდრეს ამრავლებენ საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელებიც. არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, რესპუბლიკის მეჩაიეებმა მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 214 ათას ტონაზე მეტი მწვანე ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონის ნაცვლად. უხვი მოსავალი მოიყვანეს მევენახეებმაც, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა, აგრეთვე მეხილეებმა. კარგად იშრომეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმაც.

საერთო წარმატებათა მიღწევაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა.

ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულება ახალ სტიმულს აძლევს დაჩქარებულ წინსვლას. ახალი დიადი საქმეებისათვის გაბედული შემოქმედებითი ჩანაფიქრებითა და ენერგიით აღსავსე საქართველოს მშრომელები რწმენით შეჰყურებენ მომავალს. როგორი იქნება ეს მომავალი, ახალ დიად საქმეთა მასშტაბი, რაც საქართველოს მშრომელებმა უნდა განახორციელონ ხუთწლედის მეოთხე წელს — ყოველივე ამას გადაწყვეტენ რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ხალხის რჩეულნი საქართველოს მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე, რომელიც 24 დეკემბრის დილის 10 საათზე გაიხსნა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელმოხვეჭილი ნოვატორები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, სტუმრები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. **დვალი**, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ი. გ. **ამიჩბა**, გ. ა. **ბაზაევი**, რ. ა. **ჯაფარიძე**, ლ. ა. **ხოზრევანიძე**.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, ზ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. **გიორგაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. **დვალმა**.

მან წინადადება შეაქვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ გარდაცვლილების — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ რ. მ. კომახიძისა და დეპუტატ დ. მ. დურგლიშვილის ხსოვნას.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ბ. ნ. **გრიგალაშვილის** მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა:

„ცნობილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. ვ. **ყარყარაშვილის** რწმუნებანი, რომელიც აირჩიეს 1968 წლის 23 ივნისს ქალაქ თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქში“.

მტკიცდება სესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა.
2. საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ.
4. დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის შექმნა.

მტკიცდება სესიის მუშაობის წესი.

მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ე. მ. **ჯაფარიძემ**.

მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ვ. **ჭირაქაძემ**.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიათა თანამოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“, „საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ვ. **გელაშვილმა**.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი რ. ა. **ჯაფარიძე**.

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. **ბუხრაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ა. ი. **კოპლატაძე** (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ქ. ბათუმი), საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ზ. ა. **თედეევი** (კ. მარქსის საარჩევნო ოლქი, ქ. ცხინვალი). ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი უ. ფ. **ცქვიტინიძე** (წერეთლის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), აფხაზეთის ასსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი შ. ე. **შარტავა** (თბილისის საარჩევნო ოლქი, ქ. სოხუმი).

როგორც დეპუტატებმა და კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, ღრმა მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები პირველხარისხოვანი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებია. მათში მკაფიოდ აისახა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მომავალი წლის მთავარი ამოცანები.

ყველა გამომსვლის დამახასიათებელი ნიშანი იყო ფართო შეხედულებანი სახელმწიფო მიდგომა სესიის განსახილველად წარდგენილი საკითხების გადაჭრისადმი. არ იყო ორატორი, რომელსაც არ აღენიშნოს, რომ რესპუბლიკაში დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ყველა ორატორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დიდ მნიშვნელობას.

დეპუტატთა სიტყვები გამსჭვალულია სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის დიდი მზრუნველობით დეპუტატები ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, უფრო სრულად გამოიყენონ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა გამოცდილება. გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, უკეთ შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმა.

საქმიანი ვითარება, მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, მთელი ზეიმური ატმოსფერო, რომელშიც სესია მიმდინარეობს, დამაჯერებლად ცხადყოფს რესპუბლიკის მშრომელთა მხურვალე მისწრაფებას წარმატებით განახორციელონ პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

ყოველმხრივ, საგულდაგულოდ გაუკეთეს რა ანალიზი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმასა და ბიუჯეტს, დეპუტატები აღნიშნავენ, რომ ეს დოკუმენტები სავსებით შეესაბამება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებს.

ამით იხურება საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დილის სხდომა. (საქდესი).

24 დეკემბრის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის საღამოს სხდომა მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ რ. რ. **დვალის** თავმჯდომარეობით.

გრძელდებოდა განხილვა მოხსენებებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა“, „საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“, აგრეთვე საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიათა თანამოხსენების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი დეპუტატი შ. ი. **ამირანაშვილი** (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი დეპუტატი ა. ე. **მელაძე** (ყარაღაჯის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი), ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირი დეპუტატი ვ. დ. **გვოზდიკოვი** (მშენებელთა საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი), საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი დეპუტატი ნ. პ. **შონია** (ნოსირის საარჩევნო ოლქი, ცხაკაიას რაიონი), ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დეპუტატი ა. ე. **ჯამრულიძე** (ზემო ალვანის საარჩევნო ოლქი, ახმეტის რაიონი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი დეპუტატი გ. ვ. **წერეთელი** (ძერჟინსკის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი დეპუტატი გ. ქ. **კავთიაშვილი** (მუხრანის საარჩევნო ოლქი, მცხეთის რაიონი), თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი დეპუტატი გ. რ. **ხუნდაძე** (ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშა დეპუტატი მ. ვ. **მეგრელიშვილი** (მეორე საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი).

მტკიცედ მიაბიჯებს საბჭოთა საქართველო. ამას ნათლად მოწმობენ სესიაზე მოყვანილი ციფრები.

ეს ციფრები იქმნებოდა ყოველდღიური წარმატებებით, მუშათა, კოლმეურნეთა, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა თავდადებული შრომით.

მაგრამ სესიაზე მარტო გაწეული მუშაობის შედეგებს როდი აჯამებდნენ. ძირითადი ყურადღება დაეთმო გადაუჭრელ პრობლემებს, შემდგომ პერსპექტივებს, კონკრეტულ საქმეებს, რომლებიც ელით დეპუტატებს.

აღინიშნა, რომ გეგმების წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წარმოების უნარიან ორგანიზაციაზე, ნედლეულითა და მასალებით მათს შეუფერხებელ მომარაგებაზე, ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროულად ამოქმედებაზე.

დეპუტატებმა გააკრიტიკეს საწარმოების, უწყებების, სამინისტროების ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს გეგმების შესრულება, აღნიშნეს, რომ საჭიროა აამაღლონ მომთხოვნელობა საგეგმო და სამეურნეო ორგანოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკებისადმი.

მათ ერთსულოვნად მოიწონეს სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომელთა მიზანია დააჩქარონ კომუნისტური მშენებლობის ტემპები, გააუმჯობესონ მშრომელთა ცხოვრება.

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის საღამოს სხდომა.

25 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

დღესასწაულზე მოძმე ბელორუსიაში

ბელორუსიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისა და ბელორუსიის კომპარტიის 50 წლისთავის გამო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად გუშინ თბილისიდან მინსკში გაემგზავრა დელეგაცია, რომელშიც შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე** (ხელმძღვანელი), ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი **გ. ბ. კობალაძე** და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი **ზ. ლ. სოტკილავა**. (საქდესი).

□ □

ერთი წელი „დედამიწის ვარსკვლავმფრენში“

უნიკალური სამედიცინო-ტექნიკური ექსპერიმენტი

ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის პირობებში ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის პრობლემა ამ ბოლო დროს დედამიწაზე და კოსმოსურ სივრცეში წარმოებული გულმოდგინე კვლევის საგანი გახდა. სწორედ მის გადაჭრაზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის შემდგომი შეღწევა კოსმოსში, რათა შეიცნოს სამყაროს საიდუმლოებანი და პრაქტიკულად გამოიყენოს ისინი.

კოსმოსურ ხომალდში ერთი ადამიანის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად მიახლოებითი გამოანგარიშებით, დღეღამეში საჭიროა:

— კვების პროდუქტები (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მარილები) დაახლოებით 700 გრამი;

— სასმელი წყალი დაახლოებით 2.500 გრამი;

— ჟანგბადი დაახლოებით 800 გრამი;

— სანიტარულ-საყოფაცხოვრებო წყალი (პირის დასაბანად, შხაპისათვის, ჭურჭლის გასარეცხად) დაახლოებით 5.500 გრამი.

ხანმოკლე ფრენისათვის ეს ამოცანა საკმაოდ მარტივად წყდება: ყოველივე საჭირო მიაქვთ მარაგად ნატურალური სპეციალურად მომზადებული პროდუქტებისა და ქიმიურად დაკავშირებული ნივთიერებების სახით. სხვა საქმეა ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა. ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ 3-კაციანი ეკიპაჟის ფრენის დროს ერთი წლის მანძილზე პროდუქტებისა და ნივთიერებების საერთო წონა ტარის გათვალისწინებით 11 ტონაზე მეტი იქნება.

საბჭოთა კავშირში კოსმოსური სივრცის ათვისების პროგრამის შესაბამისად შექმნილია სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების ექსპერიმენტული კომპლექსი, რომელიც დედამიწის გარეთ ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია.

1967 წლის 5 ნოემბერს დაიწყო წლიური ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდა სამი გამომცდელი: ექიმი გ. ა. მანოვცევი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ბიოლოგი ა. ნ. ბოჟკო და ტექნიკოსი ბ. ნ. ულიბიშევი.

განისაზღვრა ამ ექსპერიმენტის შემდეგი ძირითადი ამოცანები:

— დაედგინათ, თუ რამდენად შესაძლებელია ადამიანის ყოფნა ერთი წლის მანძილზე შეზღუდული მოცულობის ჰერმეტული კამერის პირობებში, როცა იგი ხმარობს ადამიანის ცხოველმოქმედების პროდუქტებისაგან (შარდი, ანაორთქლი ტენი და ამონასუნთქი ნახშირორჟანგი) რეგენერირებულ წყალსა და ჟანგბადს და იყენებს ვაკუუმური შრობის მეთოდით გაუწყლოებულ კვების პროდუქტებს;

— გამოეკვლიათ, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი ადამიანის ორგანიზმზე და დაედგინათ ოპტიმალური პირობები ჰერმოკამერაში ადამიანის ხანგრძლივი ყოფნის უზრუნველსაყოფად საკმაო ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობის შენარჩუნებით;

— შეეფასებინათ ადამიანის ცხოველმოქმედების პროდუქტების რეგენერაციაზე დამყარებული ხანგრძლივმოქმედი სისტემების მუშაობის ეფექტიანობა.

დედამიწის კომპლექსის შემადგენლობაში შეტანილია სისტემები, რომლებიც ახორციელებენ ჟანგბადისა და წყლის მაქსიმალურად შესაძლო რეგენერაციას, აგრეთვე დამხმარე და მადუბლირებელი მოწყობილობანი. ამ სისტემების ურთიერთმოქმედება კომპლექსში საშუალებას იძლევა განახორციელონ ნივთიერებათა ნაწილობრივ დახშული წრებრუნვა.

წლიური ექსპერიმენტის მოწყობის დროს გამომცდელთა კვებისათვის გამოიყენეს სპეციალურად შემუშავებული ულუფა, რომელიც შედგებოდა ვაკუუმური შრობის მეთოდით გაუწყლოებული პროდუქტებისაგან. ვიტამინსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა უკმარობის შესავსებად ძირითად რაციონში, რომელიც დაკავშირებულია კვების პროდუქტების კულინარიულ დამუშავებასა და ვაკუუმურ შრობასთან, იყენებდნენ ექსპერიმენტულ ორანჟერიაში მოყვანილ მწვანილს: ხიბინის კომბოსტოს, წიწმატს, კიტრისუნასა და კამას. ორანჟერიაში იყენებდნენ სინათლის მაღალინტენსიურ წყაროს, რომელიც მზის სპექტრის იმიტაცია იყო. ნიადაგის შემცვლელად იყენებდნენ სპეციალურ იონცვლის ფისებს, რომლებშიც წინასწარ შეტანილი იყო საკვები ნივთიერებანი.

სუნთქვისათვის ჟანგბადს ამუშავებდა რეგენერაციის სისტემა, რომელიც შედგება ორი ბლოკისაგან: ელექტროლიზისა და ნახშირორჟანგის უტილიზაციის ბლოკისაგან. ელექტროლიზის ბლოკში უტილიზაციის ბლოკიდან მიღებული წყლის ელექტროლიზური დაშლის გზით და დამატებითი რაოდენობის წყლისაგან, რომელიც მოდის ატმოსფერული ტენის კონდენსატისაგან მისი რეგენერაციის სისტემიდან, გამოიყოფოდა ჟანგბადი და წყალბადი. ტუტის აეროზოლისაგან (ელექტროლიტის უწვრილესი ნაწილაკები) გაწმენდის შემდეგ ჟანგბადი მიდიოდა ჰერმოკამერაში, რომ ესუნთქათ გამომცდელებს, ხოლო წყალბადი — ნახშირორჟანგის უტილიზაციის ბლოკში.

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესია შეიკრიბა იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხალხი უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით ემზადება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად. ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. 1968 წლის გეგმის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანი წვლილი იქნება სკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის გეგმის პროექტს საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ დამტკიცებული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები, კრიტიკული შენიშვნები და მიმდინარე წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულების შედეგები.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის პროექტი შეესაბამება სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ დამტკიცებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითად მაჩვენებლებს.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შემოაქვს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი. სანამ ამ პროექტის ძირითად მაჩვენებელთა განხილვაზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ მოკლედ გაგაცნოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის გეგმის შესრულების ძირითადი შედეგები

1968 წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულების მონაცემები გვიჩვენებს, რომ წარმატებით სრულდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის საერთო (სასაქონლო) პროდუქციის მოცულობა წინანდელთან შედარებით გაიზარდა 7,9 პროცენტით. გაუმჯობესდა სამრეწველო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა და სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის მაჩვენებლები. სწრაფად ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის: ელექტროენერგეტიკა, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობა და სხვ. ზრდის მაღალ ტემპს მიაღწია რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობამ, განსაკუთრებით ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, რომელთა საერთო (სასაქონლო) პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით გაიზრდება 19 პროცენტით. მრეწველობაში წარმატებით სრულდება ძირითადი სახის პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოსახულებით. რამდენადმე გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, სამრეწველო საწარმოებმა მნიშვნელოვნად განაახლეს პროდუქციის ასორტიმენტი.

წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 2,5 პროცენტით, მათ შორის მემცენარეობისა —4,4 პროცენტით, გადაჭარბებით სრულდება ისეთი უმნიშვნელოვანესი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-დამზადების გეგმები, როგორიც არის: ჩაის მწვანე ფოთოლი, ყურძენი, ხილი, შაქრის ჭარხალი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხორცი, რძე და სხვ. გატარდა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამაღლდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ენერგოაღჭურვილობა.

1968 წელს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 9 ათასი ჰექტარი სარწყავი და 12 ათასი ჰექტარი ამოშრობილი ფართობი.

მიმდინარე წელს შემდგომი განვითარება ჰპოვა საერთო სარგებლობის ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ. მრავალი ღონისძიება გატარდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დასანერგავად. მრეწველობაში ათვისებულ იქნა 38 ახალი სახის უმნიშვნელოვანესი ნაკეთობის გამოშვება.

სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარების შედეგად **რესპუბლიკური დაქვემდებარების** მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით იზრდება თითქმის 4 პროცენტით, მშენებლობაში — 4,8 პროცენტით, კოლმეურნეობებში — 3,7 პროცენტით. 1968 წელს მოგება 1967 წელთან შედარებით გაიზრდება 9,2 პროცენტით.

1968 წლის 1 დეკემბრისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია 528 სამრეწველო საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რაოდენობის 44 პროცენტი, რომლებიც უშვებენ რესპუბლიკის მთელი მრეწველობის პროდუქციის 67 პროცენტს და იძლევიან მრეწველობაში მიღებული მოგების — 65 პროცენტს. სამეურნეო რეფორმამ დადებითი გავლენა მოახდინა საწარმოებში ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებასა და შიდამეურნეობრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით.

წლეულს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა მიაღწევს 386,3 მილიონ მანეთს, რაც 5,9 პროცენტით აღემატება 1967 წლის ფაქტიურ შესრულებას. ამოქმედებული იქნება 339,6 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.

წარმატებით სრულდება პარტიის მიერ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დასახული პროგრამა. გატარდა ღონისძიებანი ხელფასის შემდგომი ამაღლების და მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის არსებითი გაუმჯობესებისათვის. ძირითადად დამთავრდა ორდასვენებისდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა.

1968 წელს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გაიზარდა 4 პროცენტამდე, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი — 11 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა — 8,9 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა — 14,3 პროცენტით, სავადმყოფო საწოლების რაოდენობა —4,6 პროცენტით, შესამჩნევად გადიდდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ქსელი. გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

1968 წელს დაფინანსების ყველა წყაროდან (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ჩაუთვლელად) აგებული იქნება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 460 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. 1968 წელს რესპუბლიკის ყოველ 10 ათას მოსახლეზე გვექნება 89,5 საავადმყოფო საწოლი და გვეყოლება 37 ექიმი.

ამხანაგო დეპუტატებო!

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესრულების საქმეში. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გადიდდება 31,8 პროცენტით ანუ საშუალო წლიურად 9,6 პროცენტით, რაც შეესაბამება ხუთწლიანი გეგმით ამ პერიოდისათვის გათვალისწინებულ ზრდას. უფრო სწრაფად იზრდება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქცია, რაც მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის გაანგარიშებით ნავარაუდევი 41 პროცენტის ნაცვლად მიაღწევს 47 პროცენტს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში 18 პროცენტით გადააჭარბებს წინა სამი წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება იზრდება 16 პროცენტამდე, მშენებლობაში — 14 პროცენტზე მეტად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — 9,5 პროცენტით კოლმეურნეობებში — 18,5 პროცენტით.

ხუთწლედის გასულ წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ შეადგინა ერთი მილიარდ 100 მილიონი მანეთი, ამოქმედდა ერთი მილიარდ 20 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ახლად აშენდა, გაფართოვდა ან რეკონსტრუირებულ იქნა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოები, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურისა და დასვენების ასობით ობიექტი.

1966-1968 წლებში რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გაიზრდება 15,8 პროცენტით, მათი საშუალო ხელფასი — 11 პროცენტზე მეტად, საცალო საქონელბრუნვა —28 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 48 პროცენტით, სავადმყოფო საწოლების რაოდენობა — 11 პროცენტით და ა. შ. ამავე პერიოდში დაფინანსების ყველა წყაროდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2.220 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ბინა მიიღო 400 ათასზე მეტმა კაცმა.

ამხანაგო დეპუტატებო!

მიღწევებთან ერთად თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენენ სახალხო მეურნეობის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებაზე.

რესპუბლიკური მრეწველობის მიერ საერთო პროდუქციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას 1968 წლის 11 თვეში საწარმოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან: ქიმიური მრეწველობის სამმართველო, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მშენებლობის სამინისტროთა სამრეწველო საწარმოები და სხვები. არ სრულდება ზოგიერთი მთავარი სახის პროდუქციის გამოშვების გეგმა.

ჯერ კიდევ დაბალია სიმძლავრეთა გამოყენება ქიმიურ, მსუბუქ, საშენი მასალებისა და მთელი რიგი სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში. დაბალი მაჩვენებლები აქვთ გორის ბამბეულის კომბინატს, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას და სხვა საწარმოებს. საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ ქარხნებში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება არ აღემატება 60-65 პროცენტს. შრომის დაბალი ორგანიზაციისა და არადამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობების გამო სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში დიდია მუშახელის დენადობა. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მიმდინარე წელს სამუშაოდან წავიდა მუშათა საერთო რაოდენობის 27 პროცენტი.

დაბალია რესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს პროდუქციის ხარისხი, მათი გარეგნული გაფორმება არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით ბევრია დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევები ადგილობრივი მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სოციალური უზრუნველყოფის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებისა და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს საწარმოებში.

სოფლის მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი აღნიშნულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში. ამიტომ თქვენს ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ მცირეა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, მაღალია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება, დაბალია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების კოეფიციენტი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებები.

მიმდინარე წლის 11 თვეში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის გეგმა შეასრულეს 90 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისა — 92 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებაში ჩამორჩებიან: მსუბუქი, საშენი მასალების მრეწველობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, ქიმიური მრეწველობის სამმართველო და სხვები. კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებაში ჩამორჩებიან აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების ჩამორჩენა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ობიექტებზე. მიმდინარე წლის 11 თვეში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია მხოლოდ 74 პროცენტით, რესპუბლიკის საშენი მასალების მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილი ისედაც შეზღუდული კაპიტალური დაბანდებებიდან მიმდინარე წელს აუთვისებელი რჩება 2 მილიონ მანეთამდე. ამ დარგის შემდგომი ჩამორჩენა დიდ საფრთხეს შეუქმნის რესპუბლიკის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების შესრულებას. ამიტომ მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს და უმოკლეს დროში გამოასწორონ ამ დარგში არსებული ჩამორჩენა.

მრავალი საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტი, რომელიც მიმდინარე წლის გეგმით უნდა ამოქმედებულიყო, ფაქტიურად არ მთავრდება, რაც მკვეთრად ამცირებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას.

კაპიტალური მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზის — სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობასთან ერთად უნდა აღინიშნოს საპროექტო დოკუმენტაციის არადროულად მომზადება და ზოგჯერ მისი დაბალი ხარისხი, ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდების ვადების დარღვევა, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების დაბალი დონე, მუშახელის დენადობა, მშენებლობის ორგანიზაციაში და საშენი მასალებით მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას სახალხო მეურნეობაში და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. ამიტომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ამ მხრივ გვაქვს.

მიმდინარე წლის 9 თვეში ახალი ტექნიკის დანერგვის მაჩვენებლები რესპუბლიკაში შესრულდა 78 პროცენტით.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ დაბალია ეკონომიური მაჩვენებლები. საწარმოთა ერთი ნაწილი ვერ ასრულებს მოგების მიღების გეგმას ან ზარალიანია. ადგილი აქვს ხელფასის ფონდის გადახარჯვას.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკა მთლიანად უზრუნველყოფილი იყო საჭირო მატერიალური რესურსების ფონდებით, ზოგიერთ საწარმოსა და სამშენებლო ობიექტს აკლდა: ლითონი, ხე-ტყე, საკედლე და ინერტული მასალები და სხვ. საბინაო მშენებლობის მიმდინარე წლის 11 თვის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია 85 პროცენტით. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კოოპერაციული ბინათმშენებლობის გეგმის შესრულება. მიმდინარე წლის 11 თვეში გეგმა შესრულებულია 51,5 პროცენტით, ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემისა 31,4 პროცენტით. ამ ჩამორჩენაში გარკვეული როლი ითამაშა საპროექტო დოკუმენტაციის დროზე მოუმზადებლობამ, რის შედეგად მიმდინარე წელს მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ჩათვალა საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის გეგმის შემცირება 3 მილიონ მანეთზე მეტით.

ბევრი ნაკლოვანება გვაქვს მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც.

ამხანაგო დეპუტატებო!

მე დაწვრილებით მოგახსენებთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ამჟამად გვაქვს. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მათ აღმოსაფხვრელად და სახელმწიფოებრივი და სამეურნეო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით და საგეგმო-ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებით უზრუნველყონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები 1969 წელს

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების წარმოდგენილი გეგმის პროექტი 1969 წლისათვის ითვალისწინებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობის აღმავლობას.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, ახალ მაღალხარისხოვან ნაკეთობათა გამოშვების ათვისება, საწარმოთა ორგანიზაციისა და მმართველობის ფორმის შემდგომი სრულყოფა, საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანა. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს წარმატებით გადავწყვიტოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ამის შესაბამისად რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა მიაღწიონ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებას და არსებული ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას; საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში — მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქებისა და მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესებას, დანაკარგების მკვეთრ შემცირებას და ამის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების უზრუნველყოფას.

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წარმოების ტექნიკური დონე, განმტკიცდება უშუალოდ მოსახლეობის მომსახურების დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადიდდება საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები. რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო სამინისტროების ჩაუთვლელად შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 3,5 პროცენტით.

ვინაიდან ხელთა გაქვთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის წარმოდგენილი პროექტის მონაცემები, თქვენს ყურადღებას მხოლოდ გეგმის მთავარ მაჩვენებლებზე შევაჩერებ.

მრეწველობა

სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს მიმდინარე წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის მოცულობის ზრდას 8,8 პროცენტით ნაცვლად წინა წლის 7,9 პროცენტისა. სამრეწველო წარმოების ზრდის უფრო მაღალი ტემპებია გათვალისწინებული რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში. მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით წარმოდგენილი გეგმის პროექტით 1969 წლისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები.

მრეწველობის პროდუქციის ზრდის საერთო ტემპზე უფრო სწრაფად განვითარდება **ელექტროენერგეტიკა**. მომავალ წელს ელექტროენერგიის გამომუშავება განსაზღვრულია 8,3 მილიარდი კილოვატ-საათით, რაც 9,2 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის შესრულებას. ელექტროენერგიის ეს რაოდენობა სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

მომავალ წელს „საქმთავარენერგოს" ხაზით საწარმოო კაპიტალურ მშენებლობას მოხმარდება 25,7 მილიონ მანეთამდე კაპიტალური დაბანდებანი. 1969 წელს ამოქმედდება: თბილისის სახელმწიფო თბოელექტროსადგურის მეექვსე ბლოკი 160 ათასი კილოვატის სიმძლავრით, 280 კილომეტრი საერთო სიგრძის 35 კილოვატი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ა. შ.

მომავალ წელს გაგრძელდება ენგურის ჰიდროელსადგურის მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ დაჩქარდეს მისი პირველი აგრეგატების ამოქმედება.

ქიმიური მრეწველობის სამმართველოს ხაზით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 23 პროცენტით და მეტად. მთავარ სახეობათა პროდუქციიდან ქიმიური ბოჭკოს გამოშვება გადიდდება 66 პროცენტით, საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია — 54 პროცენტით. მინერალური სასუქების წარმოების მოცულობა 1969 წელს გეგმის პროექტით განსაზღვრულია 532 ათასი ტონით.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა. ათვისებული არ არის ამ ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები, დაბალია შრომის ორგანიზაცია, დიდი რაოდენობით აკლიათ მუშახელი, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშები. ქარხანა ცუდად არის უზრუნველყოფილი საბინაო ფონდით. მიუხედავად ამისა, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები მიმდინარე წლის 11 თვეში აითვისა მხოლოდ 71 პროცენტით, საჭიროა მშენებლობის სამინისტრომ, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად და უზრუნველყონ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების შემდგომში დროული ათვისება.

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ქიმიური მრეწველობის სამმართველოს ხაზით 1969 წლისათვის განსაზღვრულია 31 მილიონ მანეთამდე, მათ შორის საწარმოო დანიშნულების ობიექტებს მოხმარდება 29 მილიონ მანეთამდე, ეს მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას 30 პროცენტით აღემატება.

1969 წელს რუსთავის ქიმიურ კომბინატში დამატებით ამოქმედდება ამიაკის, აზოტიანი მინერალური სასუქის და წულუკიძის სინთეზურ ნაკეთობათა ქარხანაში — **პოლიოლეფინის** ფირის საწარმოო სიმძლავრეები. საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია 3,6 მილიონი მანეთი, ანუ 25 პროცენტით მეტი მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით.

ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1969 წელს მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 2,4 პროცენტით, ძირითადად ავეჯის გამოშვების ანგარიშში. ჩვენი რესპუბლიკის პირველი ჯგუფის ტყეების საკურორტო და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობის გამო, 1968 წლის გეგმასთან შედარებით გათვალისწინებულია მერქნის გამოზიდვის შემცირება 7 პროცენტამდე, რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს.

ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით 1969 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 6,81 მილიონი მანეთით, აქედან საწარმოო ობიექტების მშენებლობას მოხმარდება 6,6 მილიონი მანეთი. მომავალ წელს ამოქმედდება საწარმოო სიმძლავრეები 100 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის გამოსაზიდავად და 5,5 მილიონი მანეთის ავეჯის გამოსაშვებად.

საშენი მასალების მრეწველობაში გეგმის პროექტი ითვალისწინებს ამ დარგის ჩამორჩენის აღმოფხვრის ღონისძიებებს, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები საშენ მასალებზე. საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ხაზით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1969 წელს 1968 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 20 პროცენტით და მეტად. მიუხედავად ასეთი დიდი მატებისა, საშენი მასალების წარმოების ზრდა ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. ცემენტის წარმოება მომავალ წელს მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 4 პროცენტით, რბილი სახურავისა — 17,6 პროცენტით, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალებისა — 9 პროცენტით და მეტად, საკედლე პანელებისა — 37 პროცენტით, საკედლე მასალისა — 23,5 პროცენტით და მეტად, არამადნეული საშენი მასალებისა — 16,7 პროცენტით.

საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ხაზით საწარმოო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 12,2 მილიონი მანეთით. 1969 წელს ამოქმედდება გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, მშენებლობის სამინისტროს ხაზით — 60 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების საწარმოო სიმძლავრეები. მთელი რიგი სიმძლავრეები ამოქმედდება სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზითაც.

დიდი სამუშაოები შესრულდება მომავალ წელს სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის ზრდის შესაბამისად, წარმოდგენილი გეგმის პროექტით რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის გამოყოფილი იქნება 16,1 მილიონი მანეთი, რაც მოხმარდება რუსთავის ლითონის კონსტრუქციების და ხისდამმუშავებელი ქარხნების და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, გორის სამშენებლო ნაკეთობათა და მექანიზაციის ბაზის, თბილისის სასაქონლო ბეტონის და სხვა სიმძლავრეების ამოქმედებას, ფოთის, ზუგდიდის და ჭიათურის საწარმოო ბაზების და მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობის დაწყებას.

რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანის შესაბამისად, გეგმის პროექტით 1969 წლისათვის განსაზღვრულია სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგების სწრაფი განვითარება.

მომავალ წელს კულტსაყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობაში განსაზღვრულია 93,2 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს 1968 წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 17 პროცენტით.

მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება **მსუბუქი მრეწველობა**. გაუმჯობესდება მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და გაფართოვდება ასორტიმენტი.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა მომავალ წელს მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 13,4 პროცენტით, ეს მნიშვნელოვნად აღემატება ადრე დამტკიცებულ ზრდის ტემპს. რესპუბლიკაში ბამბის ქსოვილების წარმოება გაიზრდება 10,4 პროცენტით, შალის ქსოვილებისა — 7,4 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 11,2 პროცენტით, წინდის ნაწარმისა — 14,2 პროცენტით, სათეთრეულ-ტრიკოტაჟისა — 11,6 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟისა — 24,3 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 13,8 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 7,9 პროცენტით და ა. შ.

წარმოდგენილი გეგმის პროექტით მომავალ წელს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ათვისებული იქნება ახალი სახის ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, ქიმიური ბოჭკოს, ნარევი ქსოვილებისაგან შეკერილი ნაწარმის გამოშვება. შესამჩნევად გაუმჯობესდება ნაწარმის გამოყვანისა და გაფორმების ხარისხი.

ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებიდან 1969 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსათვის გამოყოფილი სახსრები მიაღწევს 11 მილიონ მანეთზე მეტს. ეს სახსრები საწარმოო დანიშნულების გარდა მოხმარდება საბინაო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებათა აგებასაც. წარმოების ზრდის მაღალი ტემპების მიუხედავად ამ დარგის საწარმოებს ჯერ კიდევ დიდი გამოუყენებელი რეზერვები აქვთ. მსუბუქი მრეწველობის მუშაკების ამოცანაა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესება, დიდი ზეგეგმითი მოცდენების აღმოფხვრა, ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად ასორტიმენტის გაფართოება და ამ საფუძველზე საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლების შესამჩნევი ამაღლების უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის ნედლეულის რესურსების საფუძველზე განსაზღვრულია **კვების მრეწველობის** შემდგომი განვითარება. კვების მრეწველობის უმთავრესი სახეობის პროდუქციიდან 1969 წელს მიმდინარე წელთან შედარებით ღვინის მასალის წარმოება გაიზრდება 21 პროცენტამდე, კონიაკისა — 10 პროცენტით და მეტად, ყურძნის ღვინისა — 14,8 პროცენტით და მეტად, ხორცისა (სახელმწიფო რესურსებიდან) — 19,7 პროცენტით, მოუხდელი რძის პროდუქტებისა — 4,9 პროცენტით, მინერალური წყლების ჩამოსხმა — 44,8 პროცენტით, ხილბოსტნეულის კონსერვებისა — 15 პროცენტით და მეტად და სხვ.

დიდი ყურადღება მიექცევა ჩაის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას. კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1969 წელს მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზრდება — 4 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 3,6 პროცენტით. „საქკონსერვხილბოსტანის" სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებში — 12,3 პროცენტით.

კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით გამოყოფილი იქნება 18 მილიონ მანეთზე მეტი ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, 1969 წელს დაიწყება ისეთი ობიექტების აგება, როგორიც არის: მაიაკოვსკის, ქედისა და წნორის წყლის ღვინის პირველადი ქარხნები და ბიჭვინთის პურის ქარხანა. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 4,4 მილიონი მანეთის ოდენობით. მომავალ წელს დამთავრდება ახალციხის ხორცკომბინატის მშენებლობა და დაიწყება ბზიფის ხორცისა და რძის კომბინატის აგება.

„საქკონსერვხილბოსტანის" სახელმწიფო კომიტეტის ხაზით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1969 წლისათვის გათვალისწინებულია 3,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც მოხმარდება მთელი რიგი საკონსერვო ქარხნების ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას. აგრეთვე გაღებული იქნება სახსრები კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი და შესანახი ბაზების მშენებლობისათვის.

რესპუბლიკური მრეწველობის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, რომელთა სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება 7 პროცენტით, ამასთან უპირატესად გაიზრდება ადგილობრივი საშენი მასალების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის — ავეჯის, საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის, ჭურჭლისა და სხვ. წარმოება. 1969 წლისათვის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა განსაზღვრულია 3,6 მილიონი მანეთით. დაიწყება სოხუმის სუვენირების ფაბრიკის, ბუნებრივი ქვიდან საკედლე ბლოკების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. განხორციელდება არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია-განახლება.

პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1969 წელს მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 11,3 პროცენტით. ამ უწყებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მომავალი წლისათვის განსაზღვრულია 5,2 მილიონი მანეთით, რაც მოხმარდება ქუთაისისა და გორის წისქვილკომბინატების მშენებლობის გაგრძელებას, წითელწყაროსა და წნორის ელევატორების გაფართოებას.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის მოგების გადიდება მიმდინარე წელთან შედარებით 13 პროცენტით და მეტად, შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 3,5 პროცენტით და მის ხარჯზე მიღებული იქნება ამ საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის მატება 44 პროცენტით.

რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების ამოცანას შეადგენს ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით და თავისუფალი მუშახელის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმით სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების ყოველმხრივ გაფართოება და ამ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილება, საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალ სისტემაზე გადაყვანის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივ ამაღლება და საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლების სისტემატური გაუმჯობესება.

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მაჩვენებელთა შესრულების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის დარგებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა გატარებას. წარმოდგენილი გეგმის პროექტით 1969 წელს განხორციელდება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის 210 ღონისძიება. მომავალ წელს განხორციელდება ლაჯანურჰესის კომპლექსური ავტომატიზაცია; დაინერგება თხევადი კაპროლაქტამის მილებით ტრანსპორტირება რუსთავის ქიმიური კომბინატიდან ქიმიური ბოჭკოს ქარხანამდე, ცემენტის მბრუნავი ღუმელების ორმხრივი კვების ავტომატიზაცია, გრანიტის დახერხვის მექანიზაცია, ლენტისებრი პარკეტის წარმოების ტექნოლოგია. ქსოვილის ნაკადურ ხაზზე გათეთრების პროცესის ავტომატიზაცია, შავი ბაიხაო და მწვანე ჩაის კომბინირებულ-პარალელური დამუშავების ტექნოლოგიური სქემა ჩაის 10 ფაბრიკაში. ამოქმედდება ყურძნის გადამუშავების 12 კომპლექსური მექანიზებული ნაკადური ხაზი. გაფართოვდება დიდი ზომის ელემენტების, კვანძების, პანელებისა და ბლოკების გამოყენება სამრეწველო, სასოფლო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში და სხვ.

მომავალ წელს მრეწველობა აითვისებს 33 ახალი სახის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას. მათ შორის იქნება: სპეციალური ცემენტი ენგურჰესის მშენებლობისათვის, აზბოცემენტის მსუბუქი პანელები, უნიფიცირებული რკინაბეტონის კონსტრუქციები რეზერვუარებისათვის, ახალი სახის შალის ქსოვილები, მოცულობითი აცეტატის მსუბუქი ტიპის ზედა ტრიკოტაჟი, ახალი სამარკო ღვინოები და კონიაკები, მაღალხარისხოვანი სიგარეტები, ალოეს წვენი და სხვ.

სოფლის მეურნეობა

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ოქტომბრის პლენუმმა შეაჯამა სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები და განსაზღვრა მისი შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა სისტემა. ამ ღონისძიებათა ერთი ნაწილი თავის გამოხატულებას პოულობს სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის წარმოდგენილი პროექტის მაჩვენებლებში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამიტომ მე თქვენს ყურადღებას შევაჩერებ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გეგმის მხოლოდ ზოგიერთ მაჩვენებელზე.

1969 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 5,7 პროცენტით. პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმის მაჩვენებლები ზოგიერთი გამონაკლისის გარდა განსაზღვრულია 1969 წლის დამტკიცებული გეგმის მაჩვენებელთა შესაბამისად. ნაწილობრივ შემცირებულია თამბაქოს, ჩაის ფოთლის და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები, ეს დაკავშირებულია თამბაქოსა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარებასთან.

1969 წელს გათვალისწინებულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება 11.800 ჰექტარზე, მათ შორის ბაღებისა — 4.500 ჰექტარზე, ვენახებისა — 4.700 ჰექტარზე, ჩაის პლანტაციებისა — 1.200 ჰექტარზე, ციტრუსოვანთა ნარგავებისა — 1.100 ჰექტარზე და ა. შ.

1969 წელს დიდი მასშტაბით გაგრძელდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა გატარება: იგი მიიღებს 3.027 ცალ ტრაქტორს, 200 ცალ მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, 1.600 ცალ სატვირთო ავტომანქანას, 350 ცალ ექსკავატორს, 200 ცალ ბულდოზერს, სხვა დიდძალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, აგრეთვე 550 ათას ტონა მინერალურ სასუქსა და საჭირო რაოდენობით შხამ-ქიმიკატებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად 1969 წელს გამოყოფილი იქნება ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი 152,7 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 12,1 პროცენტით, გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები თავიანთი სახსრებით შეასრულებენ დიდი მოცულობის სამუშაოებს.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდება სარწყავი სისტემის გაფართოებისა და დაჭაობებული მიწების ამოშრობის დიდი ღონისძიებანი. 1969 წელს წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე დაიხარჯება 45 მილიონ მანეთამდე; ამ თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება ისეთი ობიექტების მშენებლობას, როგორიც არის: ზემო ალაზნისა და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემები, კოლხიდის დაბლობზე მიწების ამოშრობის სამუშაოები და სხვ.

მომავალ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 10.600 ჰექტარი სარწყავი და 13.700 ჰექტარი ამოშრობილი მიწის ფართობი.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მათში წარმოების და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესაბამისად სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება მომავალ წელს მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 5,5 პროცენტით, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 6,1 პროცენტით, კოლმეურნეობებში — 5 პროცენტით; კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურება ერთ კაცდღეზე გადიდდება 4,2 პროცენტამდე.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიმდინარე ხუთწლედში განზრახულია ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მთელი სისტემის გატარება (მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, ციცაბო ფერდობების დატერასება, ხრამების, ხევებისა და ქვიშნარების გატყიანება, ღვარცოფებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა). მიმდინარე წლის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ეს ღონისძიებანი არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტრომ სანახევროდაც ვერ აითვისეს ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმის შესრულება არადამაკმაყოფილებელია, გეგმის პროექტით მომავალი წლისათვის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის შესასრულებლად გამოყოფილია 13 მილიონ მანეთამდე. სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო დავალების მთლიანად შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის წინაშე დასახა დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა მაქსიმა-

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა

(დასასრული)

ლურად გამოვიყენოთ წარმოების ზრდის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში მტკიცედ უნდა გავატაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის ღონისძიებანი და რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა გადავაქციოთ მაღალრენტაბელურ საწარმოებად.

ავტოტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

მომავალ წელს ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა 1968 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 7,8 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 13 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 5,3 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ავტოტრანსპორტით ტვირთების საქალაქთაშორისო გადაზიდვა.

ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვის დონის ასამაღლებლად ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებიდან გაღებული იქნება 17,5 მილიონი მანეთი, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 15 პროცენტით. ეს თანხა ძირითადად მოხმარდება დაწყებული ობიექტების დამთავრებას, აგრეთვე ქ. ქუთაისში ავტობუსების სარემონტო ქარხნის მშენებლობის დაწყებას.

საგზაო მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია 74 კილომეტრი საერთო სიგრძის ახალი და რეკონსტრუირებული მაგარსაფარიანი საავტომობილო გზების საექსპლოატაციოდ გადაცემა, მდინარე რიონზე სამტრედიასთან და ჯუმზე ზუგდიდის რაიონში ხიდების აგება. შესრულდება ხაშურ-ბორჯომ-ახალციხის გზაზე სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის და მდინარეებზე ჭოროხსა და მაშავერაზე ხიდების აღდგენის სამუშაოები.

1969 წელს მიმდინარე წელთან შედარებით კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 6,3 პროცენტით. გეგმის პროექტი ითვალისწინებს ამ დარგისათვის 5.680 ათას მანეთ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფას. მომავალ წელს სატელეფონო სადგურების ტევადობა გაიზრდება 19 ათასი ნომრით, მათ შორის ქ. თბილისში 7.000 ნომრით. გაგრძელდება თბილისის ტელეცენტრის გადამცემი სადგურის რეკონსტრუქცია, თბილისის ცენტრალური ტელეგრაფისა და სხვა ობიექტების მშენებლობა.

კაპიტალური მშენებლობა

ამხანაგო დეპუტატებო!

კაპიტალური მშენებლობის მოცულობა და მისი წარმატებით შესრულება განსაზღვრავს ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების გაფართოებული კვლავწარმოების მასშტაბს, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მაჩვენებლებს.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციის მშენებლობის პროცესში მყოფ და საექსპლოატაციოდ გადასაცემ ობიექტებზე, ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების ამოქმედების დაჩქარებას და ამით კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდებას. ამის შესაბამისად მომავალ წელს მშენებარე ობიექტებს მოხმარდება მთელ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის დაახლოებით 80 პროცენტი.

1969 წელს განხორციელდება ღონისძიებანი ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის ასამაღლებლად, სათანადო მატერიალური რესურსებით უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ვადების შესამცირებლად და მათ საფუძველზე ეკონომიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

გეგმის პროექტით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 458,5 მილიონი მანეთით, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას 8 პროცენტით აღემატება. 1969 წელს ამოქმედდება 436,5 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აჭარბებს 15,7 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო!

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. საქმე ეხება წყალსატევების გაბინძურებასა და მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას. ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში დიდი სამუშაოები სრულდება წყალსატევების დასაცავად გაბინძურებისაგან, გაუმჯობესდა მათი სანიტარული მდგომარეობა. იმ მსხვილ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნახევარზე მეტს, რომლებიც წყალსატევების გაბინძურების წყაროს წარმოადგენენ, უკვე იქვთ ან აშენებენ საწმენდ მოწყობილობებსა და დანადგარებს. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენი მდინარეებისა და ზღვის სანაპიროების ცალკეული უბნების საგრძნობ გაბინძურებას, რასაც დიდი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. ძნელდება და ხშირად შეუძლებელიც ხდება მათი გამოყენება საყოფაცხოვრებო, საკურორტო და სამეურნეო საჭიროებისათვის. მეტად ჭიანურდება სამრეწველო ობიექტების საწმენდ ნაკეთობათა დაპროექტება და მშენებლობა. სუსტია ყურადღება არსებულ საწმენდ ნაკეთობათა ნორმალური ექსპლოატაციისა და მათი ეფექტიანად გამოყენების საქმისადმი.

მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არაერთგზის დადგენილებისა ზღვის სანაპიროების და მდინარეთა გაბინძურების აღკვეთის საკითხებზე და ამასთან დაკავშირებით ჩამდინარე წყლებისა და კანალიზაციის ობიექტების მშენებლობის დაჩქარების შესახებ, სამშენებლო ორგანიზაციები ამ დავალებას არ ასრულებენ, და გამოყოფილი თანხები ყოველწლიურად აუთვისებელი რჩება.

წყლის რესურსების გაბინძურებისაგან დაცვის საკითხი მოითხოვს მეტ ყურადღებას როგორც სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, ისე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან.

მომავალ წელს რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება მოუხდებათ. ეს კი მოითხოვს დამკვეთი, საპროექტო, სამშენებლო და მომმარაგებელი ორგანიზაციების დაძაბულ და შეთანხმებულ მუშაობას. აუცილებელია სამშენებლო ორგანიზაციებმა განამტკიცონ თავიანთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყონ სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების მაქსიმალური დატვირთვით გამოყენება, სამუშაოთა ხარისხის ამაღლება და მათი შესრულების ვადების შემცირება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მშენებლობის ობიექტებზე სამუშაო ძალის შენარჩუნებას, მშენებელთა დენადობის მკვეთრად შემცირებას და მუშებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

დიდი მოცულობის **გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები** შესრულდება მომავალ წელს რესპუბლიკაში. გეგმის პროექტი ითვალისწინებს გაზის საძიებო სამუშაოთა ფართოდ გაშლას. გაზის აღმოჩენას სამრეწველო მარაგით დიდი მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკის სათბობის ბალანსის გაუმჯობესებისათვის.

მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლება

ამხანაგო დეპუტატებო!

მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატურ ამაღლებაზე ზრუნვა ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თქვენთვის ცნობილია იმ ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლებიც ამ მიმართულებით ტარდება. მიმდინარე წლის იანვრიდან განხორციელდა ხელფასის მინიმალური დონის მნიშვნელოვანი გადიდება, გაუმჯობესდა სოციალური დაზღვევის სისტემა და სხვა, რის შედეგადაც სისტემატურად მაღლდებოდა მოსახლეობის შემოსავალი.

მოსახლეობის მზარდი მსყიდველობითი უნარის შესაბამისად 1969 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა განსაზღვრულია 2060 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 8,5 პროცენტით, ამავე დროს სოფლად საცალო საქონელბრუნვა გაიზრდება 9,5 პროცენტით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის უზრუნველყოფა კულტსაყოფაცხოვრებო საქონლითა და საქონლის იმ ჯგუფებით, რომლებზეც მოსახლეობა გადიდებულ მოთხოვნილებას აყენებს.

ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებიდან გამოყოფილია 9,4 მილიონ მანეთზე მეტი, რაც საშუალებას მოგვცემს 1969 წელს სავაჭრო საწარმოებში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 9,7 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები; ამოქმედდება სავაჭრო ქსელში 237 სამუშაო ადგილი, საზოგადოებრივი კვების ქსელში — 1700 დასაჯდომი ადგილი, 8,7 ათასი კვადრატული მეტრის საერთო ფართობის საქონლის საწყობები, 1150 ტონის ერთდროული შენახვის ტევადობის ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავები და 200 ტონის ერთდროული შენახვის ტევადობის მაცივრები. საჭიროა ამ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება, მათი სრული ათვისება.

მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს საყოფაცხოვრებო მომსახურება. გეგმის პროექტით 1969 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა მთლიანად 21,5 პროცენტით მეტია მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებაზე, მათ შორის სოფლად — 29 პროცენტით, 1969 წლისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 2,94 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 46 პროცენტით, ამოქმედდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი ახალი საწარმო, მიმღები პუნქტი და ა. შ.

1969 წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისწავლის 929,3 ათასი კაცი, გახანგრძლივებული სასწავლო დღის სკოლებისა და ჯგუფების კონტინგენტი გაიზრდება 17 პროცენტამდე. მომავალ წელს გაფართოვდება სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადება. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია 11.550 კაცით, მათ შორის დღის განყოფილებაზე — 6.250 კაცით.

1969 წელს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებული იქნება 21 ათასი კაცი. ეს 10,5 პროცენტით აღემატება 1968 წლის მისაღებ კონტინგენტს. გამოშვებული იქნება 17,7 ათასამდე კაცი, ანუ 11 პროცენტამდე მეტი, ვიდრე 1968 წელს. საშუალო და რვაკლასდამთავრებული ახალგაზრდებიდან 1969 წელს სამუშაოზე მოწყობილი იქნება 35,6 ათასი ახალგაზრდა. სამრეწველო საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები მუშახელის ორგანიზებული შეგროვების წესით მიიღებენ 11,2 ათას კაცს.

გაფართოვდება კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა და კინოდანადგარების ქსელი და ლიტერატურის გამოცემა.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების გაუმჯობესება. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა მიაღწევს 41.680 ერთეულს, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ქსელში ბავშვების კონტინგენტი გაიზრდება 6,6 პროცენტით.

მომავალ წელს განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის გამოყოფილ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მიაღწევს 34,4 მილიონ მანეთს. ამის გარდა მნიშვნელოვანი სახსრები იქნება გაღებული არაცენტრალიზებული წყაროებიდან. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელს შეემატება 20,5 ათასი მოსწავლის ადგილი, სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებებს 5,34 ათასი ადგილი, რესპუბლიკური დაქვემდებარების სამედიცინო დაწესებულებებს — 1.650 საწოლი. გაიხსნება ჰიდრაკისა და ალპური კლუბი, დაიწყება საბაგირო გზის მშენებლობა ბაკურიანში და სხვა.

ამხანაგო დეპუტატებო!

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დასახული პროგრამის შესაბამისად 1969 წელს დიდი მასშტაბით იწარმოებს საბინაო მშენებლობა. მომავალ წელს იმ სახსრების ჩათვლით, რომლებიც გამოყოფილი იქნება საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიერ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 284 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, არაცენტრალიზებული კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებიდან — 82,9 ათასი კვადრატული მეტრი, საბინაო სამშენებლო კოოპერატივების ხარჯზე — 150 ათასი კვადრატული მეტრი. სულ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ჩაუთვლელად, აგებული იქნება 517,7 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ბინები, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 12,5 პროცენტით. ამის გარდა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხაზით, რომელსაც ახორციელებენ მუშა-მოსამსახურეები საკუთარი სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით, აგებული იქნება 250 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის მქონე ბინები.

საბინაო მშენებლობასთან და ქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარება. 1969 წელს კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილია კაპიტალური დაბანდებანი 32,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 7,3 პროცენტით აღემატება 1968 წლის მოსალოდნელ შესრულებას.

1969 წელს ამოქმედდება წყალსადენები დღეღამეში 74 ათასი კუბური მეტრი წყლის მიწოდების სიმძლავრით, წყალსადენის ქსელი — 184 კილომეტრის საერთო სიგრძით, 30 კილომეტრის საკანალიზაციო ქსელი, 90 კილომეტრი გაზის ქსელი (გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში გაყვანილი იქნება 30 კილომეტრი ტრასა შემდგომ წლებში ბუნებრივი გაზის მისაღებად), თბოქსელი — 10 კილომეტრი, ტროლეიბუსის ხაზები—6,8 კილომეტრი, ტრამვაის ხაზი — 4 კილომეტრი. გაზიფიცირებული იქნება 81 ათასი ბინა. 1969 წელს დამთავრდება ქუთაისის, თელავის, ლენტეხის, ლანჩხუთის, მცხეთის, ბოგდანოვკის, ახალდაბის, სიღნაღის წყალსადენების მშენებლობა; გაგრძელდება საგურამო-თბილისის წყალგამტარის, რუსთავის მეორე რიგის, ფოთის, ხაშურის, ახალციხის, ონის, წალენჯიხისა და სხვა ქალაქების წყალსადენების მშენებლობა.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენთვის წარმოდგენილი გეგმის პროექტის მაჩვენებლები უზრუნველყოფილია სათანადო ფულადი და მატერიალური რესურსებით. გეგმის შესრულების პროცესში ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დასანერგავად და მის ბაზაზე ფულადი და მატერიალური რესურსების გამოყენებაში მკაცრი ეკონომიის რეჟიმის დასაცავად.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის წარმოდგენილ პროექტში გამოყოფილია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საგეგმო მაჩვენებლები, რომლებიც, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკისა, უზრუნველყოფენ ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მეურნეობის და კულტურის ყველა დარგის შემდგომ ზრდა-განვითარებას.

აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრეწველობის პროდუქცია (საკავშირო მრეწველობის გარდა) მომავალ წელს გაიზრდება 6,9 პროცენტით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში— 32,9 პროცენტით, აქედან ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 12,4 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი (წილობრივი მონაწილეობის გარეშე) განსაზღვრულია 6,580 ათასი მანეთის ოდენობით, რაც მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 9,1 პროცენტით. მათ შორის საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი იქნება — 840 ათასი მანეთი, ანუ მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით — 25,9 პროცენტით მეტი.

საცალო საქონელბრუნვის ზრდა განსაზღვრულია 8,7 პროცენტით, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 19,2 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია 1969 წელს მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 3,7 პროცენტით, მათ შორის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 2,2 პროცენტით, რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 13 პროცენტით, აქედან ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 14,2 პროცენტით.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა (წილობრივი მონაწილეობის გარეშე) განსაზღვრულია 4,124 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 22,8 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას.

საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია 850 ათასი მანეთი, რაც მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 15,9 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვა გადიდდება 8,6 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა — 18,9 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობის პროდუქცია განსაზღვრულია გაიზარდოს 8 პროცენტით, მათ შორის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 6,2 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 11 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი (წილობრივი მონაწილეობის გარეშე) განსაზღვრულია 2,210 ათასი მანეთით, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 24,7 პროცენტით, მათ შორის: კომუნალურ მეურნეობაში — 90 პროცენტით, ჯანდაცვის დარგში — 25 პროცენტით. საბინაო მშენებლობაზე — 4,6 პროცენტით და სხვ.

საცალო საქონელბრუნვა გაიზრდება 8,7 პროცენტით, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა — 24,8 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენთვის წარმოდგენილი გეგმის პროექტის მაჩვენებლები მთლიანად უპასუხებენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების იმ ამოცანებს, რომლებიც განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — XXIII ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივებით. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები წარმატებით შეასრულებენ 1969 წლის გეგმის დავალებებს და ღირსეულ საჩუქარს მოუმზადებენ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის სახელოვან იუბილეს. **(ტაში)**.

საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. ვ. ჭირაქაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ღირსშესანიშნავ ვითარებაში ტარდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესია. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან და პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ემზადება მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** დაბადების 100 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, მთელი ქართველი ხალხი სულ უფრო ამრავლებენ თავიანთ მიღწევებს, რომ წარმატებით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის სახელოვან იუბილეს.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საბჭოთა საქართველოს განვლილი წლები და მოპოვებული მიღწევები, ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მონაცემები. დღეს საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ჯაფარიძის მოხსენებიდან, რომელმაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის ძირითადი მონაცემები და პერსპექტივები დაახასიათა, ნათლად ჩანს, თუ რა წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და ეკონომიკის ყველა დარგის წინსვლასა და განვითარებაში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალმა ტემპებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს იმისათვის, რომ საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდეს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

რესპუბლიკის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წინასწარი მონაცემებით წარმატებით იქნება შესრულებული როგორც შემოსავლის ნაწილში, ისე ხარჯებში. შემოსავლის გადაჭარბება ხარჯებზე მოსალოდნელია 20 მილიონ მანეთამდე.

სესიას მინდა მოვახსენო, რომ საქართველოს საფინანსო ორგანოების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი ბიუჯეტის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების დარგში წარმატებით და ვადაზე ადრე არის განაღდებული, ამასთან მიმდინარე წელს უზრუნველყოფილია რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად.

1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯები

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს ჩვენი რესპუბლიკის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი; იგი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად და უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებას, საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას და ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელად ამაღლებას.

ჩვენი რესპუბლიკის მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე ხარჯების ნაწილში განსაზღვრულია 1 მილიარდ 160 მილიონ 260 ათასი მანეთის ოდენობით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტს — ზრდა 12,8 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველს წარმოადგენს შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან.

1969 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების გადასახდელები 1.039,4 მილიონ მანეთს ანუ ბიუჯეტის შემოსავლის მთელი თანხის 89,6% შეადგენს, რაც ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

(მილიონ მანეთობით)

	დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1968 წლისათვის	1969 წლის პროექტი
— ბრუნვის გადასახადი	483,3	543,6
— მოგებიდან გადასახდელები ბიუჯეტში	286,7	333,6
— სოციალური დაზღვევის შესატანები, კოოპერაციული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი და სოციალისტური მეურნეობიდან სხვა შემოსავალი	149,7	162,2

წელს რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება ბრუნვის გადასახადის დაწესებული გეგმები, რის შედეგადაც წინასწარი ვარაუდით ბიუჯეტი გეგმაზე ზევით მიიღებს 15 მილიონ მანეთზე მეტს. ეს მიღწეულია იმის შედეგად, რომ რესპუბლიკის საწარმოების მიერ დამატებით გამოშვებული და რეალიზებული იყო სახალხო მოხმარების საქონელი და შესაბამისად გაიზარდა საქონელბრუნვა.

საჭიროა კვლავაც დიდი ყურადღება ექცეოდეს სამრეწველო სამინისტროების და უწყებების მხრივ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებას და კონტროლის გაძლიერებას სასაქონლო ფონდების ათვისებაზე, რათა მომავალ წელს უზრუნველყოფილი იქნას ბრუნვის გადასახადის შემოსვლის დაწესებული გეგმის, წარმატებით შესრულება.

სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან გადასახდელები ბიუჯეტში ყოველწლიურად იზრდება და 1969 წელს 333,6 მილიონ მანეთს შეადგენენ, ანუ ბიუჯეტის საერთო შემოსავლის 28,8 პროცენტს. ამ შემოსავლის ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია სახალხო მეურნეობაში მოგების ზრდასთან. 1969 წლისათვის სახალხო მეურნეობაში მთლიანად გათვალისწინებულია მოგება 530,8 მილიონი მანეთის ოდენობით ნაცვლად მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 466,3 მილიონი მანეთისა, ზრდა შეადგენს 64,5 მილიონ მანეთს, ანუ 13,8%. საგეგმო მოგების დიდი თანხებით გათვალისწინებული კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 104,1 მილიონი მანეთი, მსუბუქი მრეწველობის— 55,4 მილიონი მან.; საქმთავარენერგოს — 48,9 მილიონი მან.; საავტომობილო ტრანსპორტის — 40,9 მილიონი მანეთი, ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების სამმართველოს — 30,2 მილიონი მან.; სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 28 მილიონი მან. და სხვ.

1969 წლის საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულია, რომ მოგების საერთო თანხიდან საწარმოებსა და ორგანიზაციებს დარჩებათ 213,1 მილიონი მანეთი ნაცვლად მიმდინარე წლის 164,2 მილიონი მანეთისა. ეს თანხები გამოყენებული იქნება წარმოების გაფართოებისა და ეკონომიური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად, კაპიტალურ დაბანდებათა და საბრუნავი სახსრების მატების დასაფინანსებლად. მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელების საერთო თანხიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული საწარმოები გადაიხდიან ძირითადი საწარმოო ფონდების საფასურს — 38,5 მილიონ მანეთს, ფიქსირებულ (რენტის) გადასახდელებს — 4,2 მილიონ მანეთს, მოგების თავისუფალი ნაშთის სახით — 113,8 მილიონ მანეთს, ხოლო დანარჩენი საწარმოებიდან მოგების ანარიცხების ხაზით შემოვა 168,1 მილიონი მანეთი.

საჭიროა, რომ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა შეუნელებლად იზრუნონ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებისათვის, წარმოების დანახარჯების შემცირებისათვის და უზრუნველყონ მოგების დავალებათა და ბიუჯეტში გადასახდელების გეგმების აუცილებლივ შესრულება.

მოსახლეობის გადასახადების ოდენობა 1969 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დონეზე, გარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადებისა, რაც ნაწილობრივ იზრდება ხელფასის ფონდის გადიდებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე შემოსავალი სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხისა და ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან — 12,6 მილიონი მანეთი.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს განხორციელდა კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის ახალი წესი, რომელიც შესაბამება და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანების წარმატებით შესრულებას. ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ჯეროვანი დახმარება უნდა გაუწიონ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებს საკოლმეურნეო ქონების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის შემდგომი განვითარებისათვის, რაც მნიშვნელოვან ეკონომიურ სარგებლობას მოუტანს კოლმეურნეობებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1969 წლისათვის შეადგენს 1.160.260 ათას მანეთს. ამ ხარჯების განაწილება ძირითად სახეობათა მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

(მილიონ მანეთობით)

	დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1968 წლისათვის	1969 წლის ბიუჯეტის პროექტით
სახალხო მეურნეობის დაფინანსება	387,7	453,7
სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება	595,6	652,2
სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯები	23,5	25,0
სხვა ხარჯები	21,3	29,4

სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს გარდა ამ დანიშნულებით თვითონ საწარმოები და ორგანიზაციები დახარჯავენ 433,6 მილიონ მანეთს, სულ კი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე მიმართული იქნება — 887,3 მილიონი მანეთი, ანუ 1968 წელთან შედარებით 47,2 მილიონი მანეთით მეტი.

ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის დაფინანსების საერთო თანხიდან მრეწველობასა და მშენებლობას მოხმარდება 84,6 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობას — 164,1 მილიონი მანეთი, კომუნალურ მეურნეობას — 79,1 მილიონი მანეთი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას — 42,3 მილიონი მანეთი, ვაჭრობას—12,1 მილიონი მანეთი და სხვ.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნობანი მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება 56,6 მილიონი მანეთით, ანუ 9,5 პროცენტით.

მრეწველობის დაფინანსება

1969 წლის მნიშვნელოვანი სახსრები იქნება გაღებული რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაზე. ხარჯები ამ დანიშნულებით 1968 წელთან შედარებით იზრდება 23,8 მილიონი მანეთით და შეადგენს 272,9 მილიონ მანეთს, მათ შორის ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 69,8 მილიონი მანეთი და საწარმოთა საკუთარი სახსრებიდან — 203 მილიონი მანეთი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იზრდება ხარჯები რესპუბლიკაში ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორიც არის ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა და ელექტროფიკაცია, კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობა.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა იქნა გაწეული წარმოების მართვის ახალი მეთოდების დასანერგავად. ამჟამად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია 528 საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რიცხვის დაახლოებით 44 პროცენტი, რომლებიც რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის 67 პროცენტს უშვებენ. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია კვების მრეწველობის საწარმოთა 92 პროცენტი, აქედან ჩაის, ღვინის, თამბაქოსა და საკონდიტრო მრეწველობაში — ყველა საწარმო, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა — 59 პროცენტი, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა— 45 პროცენტი, ახალ წესზე მთლიანად გადაყვანილია ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები.

წარმოების მართვის ახალი მეთოდების დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი საწარმოთა საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. სამეურნეო რეფორმით მინიჭებული ფართო უფლებები კარგად გამოიყენა და საგრძნობ წარმატებებს მიაღწია მრავალმა საწარმომ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიღწეული მაჩვენებლები სრულად არ ასახავენ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც მათ აქვთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის.

1969 წლის გეგმა ითვალისწინებს მრეწველობაში მოგების უფრო მნიშვნელოვან ზრდას, ვიდრე 1968 წელს იყო, კერძოდ 1969 წლისათვის გათვალისწინებულია მოგება სამრეწველო სამინისტროების ხაზით — 287,1 მილიონი მანეთის ოდენობით, ნაცვლად მიმდინარე წლის 264,7 მილიონი მანეთისა.

მიმდინარე წელს მოგების გეგმა მრეწველობის ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში წარმატებით სრულდება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ დარგსა და საწარმოს კვლავ ჩამორჩენა აქვს. მათ შორის უნდა აღინიშნოს საშენ მასალათა მრეწველობის ბევრი საწარმო, აგრეთვე რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, რომელსაც საწარმოო სიმძლავრეების აუთვისებლობისა და პროდუქციის წარმოების გეგმის შეუსრულებლობის შედეგად დიდი ზეგეგმითი ზარალი მოსდის.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა 47 პროცენტმა ვერ შეასრულა მოგების 1968 წლის 9 თვის გეგმა.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოგების გეგმის შესრულებას ცალკეული საწარმოების მიხედვით, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის გატარებას, ნედლეულის, მასალების, სათბობის ეკონომიურად ხარჯვას, დანაკარგებისა და წუნის ლიკვიდაციას.

მომავალ წელს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი იქნება ყველა სამრეწველო საწარმო. საჭიროა, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველმხრივ ანალიზი გაუკეთონ ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა განვლილ მუშაობას, გაატარონ ღონისძიებანი ამ საწარმოთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, გააძლიერონ ეკონომიური მუშაობა და უზრუნველყონ სამეურნეო რეფორმის უპირატესობათა სრულად გამოვლინება და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა.

სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი სწრაფი განვითარება. ამ დარგების გაფართოებისათვის მომავალ წელს დაიხარჯება მნიშვნელოვანი სახსრები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! სოფლის მეურნეობა ჩვენი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის წარმატებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში. ამაზე ნათლად მეტყველებს მიმდინარე წლის შედეგები.

განსაკუთრებით ისახელეს თავი რესპუბლიკის მეჩაიეებმა და მევენახეებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ამ კულტურათა მიყიდვის გეგმები და დამატებითი ვალდებულებანი. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მარცვლეულის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საგეგმო დავალებანი.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე 1969 წელს მიმართული იქნება 250,7 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან— 164,1 მილიონი მანეთი, აქედან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით ბიუჯეტიდან ასიგნებული იქნება 91,8 მილიონი მანეთი, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებაზე — 65,4 მილიონი მანეთი, პირუტყვის ეპიზოოტიასთან, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლისა და ვეტერინარული ქსელის შესანახი ხარჯებისათვის — 6,8 მილიონი მანეთი, ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო და მიწების ძირეულად გაუმჯობესების ღონისძიებებზე — 7,8 მილიონი მანეთი, სეტყვასთან ბრძოლის ღონისძიებაზე — 4 მილიონ მანეთამდე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობები. რესპუბლიკაში ბევრი მაღალრენტაბელური, მოწინავე საბჭოთა მეურნეობაა, რომლებიც შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების უნარიანი გამოყენებით მაღალ შედეგებს აღწევენ.

(დასასრული მე-4 გვ.)

კომუნისტი
მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 25 დეკემბერი, 1968 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

(დასასრული)

ამასთან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არის მეურნეობები, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და თვითღირებულების დაწესებულ გეგმებს, უშვებენ მატერიალური და ფინანსური რესურსების უყაირათოდ ხარჯვას და მუშაობენ ზარალით.

საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის ამაღლებისა და მათი ეკონომიკის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშიანობაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე მიმდინარე წლის 1 აპრილიდან გადაყვანილია 5 საბჭოთა მეურნეობა.

9 თვის საანგარიშო მონაცემები ადასტურებენ, რომ ეს მეურნეობები გადაჭარბებით ასრულებენ წარმოებისა და დაგროვების გეგმებს.

მომავალი წლიდან ახალ სისტემაზე გადაყვანილი იქნება კიდევ ხუთი მეურნეობა.

უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად შესამჩნევად განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, რესპუბლიკის კოლმეურნეობების უმრავლესობაში შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურების შემოღებამ აამაღლა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა, მნიშვნელოვნად გაზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

თუ რაოდენ დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და მთავრობა საბჭოთა საზოგადოების უდიდესი სიმდიდრის — მიწისადმი ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის, ამაზე მეტყველებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ახლახან მიღებული კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“.

საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ ყველაფერი ექვემდებარებოდეს მთავარ მიზანს — გონივრულად გამოვიყენოთ მიწა, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება, ეკონომიურად, ეფექტიანად წარვმართოთ სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო საშუალების — მიწის მეურნეობა.

მიწების ძირეულად გაუმჯობესებას და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ამაღლების საქმეში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამუშაოთა განხორციელება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და მოსავლიანობის გადიდების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მიწების მელიორაციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის შემდეგ დიდი ღონისძიებები ხორციელდება კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და ათვისებისათვის. რესპუბლიკაში უდიდესი ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წყლით უზრუნველყოფილი იქნება 110 ათასი ჰექტარი ფართობი.

სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, კოლხეთის დაბლობის და სხვა დაჭაობებული, ჭარბტენიანი მიწების ამოშრობაზე და სხვა წყალსამეურნეო ღონისძიებებზე 1969 წელს გათვალისწინებულია 64,1 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 52,7 მილიონი მანეთი, რაც 3,7 მილიონი მანეთით აღემატება მიმდინარე წლის ასიგნობას.

მომავალ წელს გადიდდება ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მინერალური სასუქებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა პროდუქციის მიწოდება კოლმეურნეობებ-სა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. „სასოფლტექნიკის“ საქონელბრუნვის მოცულობა 5 მილიონი მანეთით გაიზრდება და 105 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა საერთო-სახალხო სიმდიდრის — ტყის, ნიადაგის, წიაღისეულის, წყლის, ფაუნისა და სხვა რესურსების დაცვის, მოვლის, კვლავწარმოებისა და მათი გეგმაზომიერი გამოყენების საქმეს.

უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში საქართველოში გაშენებულია 50 ათას ჰექტარამდე ტყეკულტურები, ჩატარებულია ტყის ბუნებრივი განახლება 240 ათას ჰექტარზე, დიდი მუშაობა წარმოებს ტყით დაუფარავი ფართობების გატყიანების, ტყე-პარკების მოწყობისა და ქალაქების ირგვლივ ჩამორეცხილ ფერდობებზე ტყეების გასაშენებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მდიდარი ფლორისა და ფაუნის დაცვისადმი დიდი ყურადღების შედეგად ბოლო წლებში საგრძნობლად გადიდდა ნადირ-ფრინველის რაოდენობა.

1969 წელს ტყის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდება 30 ათას ჰექტარზე, მათ შორის, ტყის კულტურების გაშენება — 10 ათას ჰექტარზე, ტყის ბუნებრივი განახლება — 20 ათას ჰექტარზე, მინდორსაცავი ტყის ზოლები გაშენდება 5.600 ჰექტარზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული ნაკრძალების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული ღონისძიებების, აგრეთვე ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მოვლა-პატრონობისა და გაფართოებისათვის 1969 წელს მიმართული იქნება 13,1 მილიონი მანეთი, რაც 2 მილიონი მანეთით აღემატება მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს.

ბოლო წლებში რესპუბლიკის ტყეებისა და ფაუნის მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ტყის მოწყობის, მოვლა-პატრონობის საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქარსაცავი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით როგორც 1967 წელს, ისე მიმდინარე წელსაც არადამაკმაყოფილებლად შესრულდა.

ჯერ კიდევ არასაკმარისად ხორციელდება ფლორისა და ფაუნის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებანი, რომლებსაც ამუშავებენ და ახორციელებენ სატყეო და სამონადირეო მეურნეობანი და შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებანი.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი დაქვემდებარებულ მეურნეობათა საქმიანობისადმი, რათა ბუნების დაცვის ღონისძიებებზე გამოყოფილი დიდი სახსრები მაღალეფექტურად იქნას გამოყენებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში დასახულია სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების მთავარი მიმართულებანი და მათი განხორციელების გზები. საჭიროა მეტი მომჭირნეობითა და ეფექტურობით გამოვიყენოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები და ამით ხელი შევუწყოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას.

კაპიტალური მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაფინანსება

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად 1969 წლის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისათვის გამოყოფილია 458,5 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 276,3 მილიონი მანეთი.

გამოყოფილი სახსრების ეფექტური გამოყენების მიზნით რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაცია პირველ რიგში ასამუშავებელ ობიექტებზე, მკვეთრად შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობა, უზრუნველყონ კონსერვაციაქმნილი და დროებით შეჩერებული მშენებლობების დამთავრება და არ დაუშვან მშენებლობაში უქმი დანახარჯები.

1969 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია წარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების შინაგანი რესურსების მობილიზაცია 18,8 მილიონი მანეთის ოდენობით, უმთავრესად დაუდგმელი მოწყობილობის მარაგის შემცირების ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ზოგიერთი ორგანიზაცია ვერ ასრულებს მოგების გეგმებს და ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე, ზრდის შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმით ღირებულებას, უშვებს მასალებისა და ხელფასის ფონდის გადახარჯვას.

საბითუმო ფასებისა და ტარიფების შეცვლასთან დაკავშირებით, 1969 წლის 1 იანვრიდან მშენებლობაში შემოღებულ იქნება ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმები და ფასები. ამის შესაბამისად სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასა და ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამშენებლო ორგანიზაციათა მოგების მნიშვნელოვანი ზრდა.

1969 წელს სერიოზული დახმარება გაეწევა საბინაო კოოპერაციას გრძელვადიანი კრედიტების მიცემით, რაც 15,4 მილიონ მანეთს შეადგენს, ანუ 17 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მაჩვენებელს.

სამშენებლო ორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ შიდასამეურნეო რეზერვები, მკაცრად დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში, განამტკიცონ სამეურნეო ანგარიში, უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ზრდა 8,5 პროცენტით.

შედარებით მაღალი ტემპებით იგეგმება საცალო საქონელბრუნვა სოფლად. სოფლის მოსახლეობა მიიღებს 9,5 პროცენტით მეტ საქონელს, ვიდრე მიმდინარე წელს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება საცალო სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი, აგრეთვე სასაწყობო მეურნეობა.

სახელმწიფო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობასა და გაფართოებაზე დაიხარჯება 27,3 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 10,5 მილიონი მანეთი.

1969 წლის ბიუჯეტით მნიშვნელოვანი სახსრებია გათვალისწინებული საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის, საერთო დანიშნულების საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საგზაო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის, რომლებიც მთლიანად გადავიდნენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე, 1969 წელს გათვალისწინებულია მოგება 40,9 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 7,9 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას. სათანადოდ იზრდება გადასახდელები ბიუჯეტში და მატერიალური წახალისების ფონდები.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დანიშნულების საავტომობილო გზების ქსელის შემდგომი განვითარებისა და მათი შენახვის ხარჯებისათვის მომავალ წელს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები 38,2 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის გზების კაპიტალური და საშუალო შეკეთებისათვის — 24,9 მილიონი მანეთი, მიმდინარე შეკეთებისა და შენახვისათვის — 6,3 მილიონი მანეთი.

კავშირგაბმულობის პროდუქცია 1969 წელს იზრდება 42,2 მილიონ მანეთამდე, ანუ 6,3 პროცენტით.

კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარებისათვის მომავალ წელს გათვალისწინებულია ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი დაახლოებით 5,7 მილიონი მანეთის ოდენობით, ე. ი. იზრდება 15 პროცენტით. სახელმწიფო გეგმის ხაზით გათვალისწინებულია დაბანდებანი სოფლად ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის განვითარებისათვის — 1 მილიონ მანეთამდე.

კომუნალური და საბინაო მეურნეობის განვითარებისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 79,1 მილიონი მანეთი, მათ შორის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის კომუნალური მეურნეობის ხაზით — 21,8 მილიონი მანეთი და საბინაო მეურნეობის ხაზით — 20,4 მილიონი მანეთი.

ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციისა და თბოფიკაციისათვის გათვალისწინებულია 4,1 მილიონი მანეთი ნაცვლად ა. წ. 2,8 მილიონი მანეთისა.

მომავალ წელს გათვალისწინებულია ქალაქების თბილისის, რუსთავის, გორის, აგრეთვე მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და გარდაბნის რაიონული ცენტრების გაზიფიკაციის შემდგომი განვითარება. გაზიფიცირებული იქნება 80 ათასზე მეტი ბინა.

საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი იქნება 9 მილიონ მანეთზე მეტი.

ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისათვის მშრომელთა სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

თუ რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს რესპუბლიკაში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, ამაზე მეტყველებს 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მონაცემები. ამ მიზნით მომავალ წელს გამოიყოფა 652 მილიონ მანეთზე მეტი, ანუ რესპუბლიკის ბიუჯეტის მთელი ხარჯების 56,2 პროცენტი. მიმდინარე წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით ეს ხარჯები იზრდება 54,6 მილიონი მანეთით და ცალკეული დარგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

(მილიონ მანეთობით)

	1968 წ. დამტკიცებული ბიუჯეტი	1969 წლის პროექტი
1. განათლება, მეცნიერება და კულტურა	316,6	349,4
2. ჯანმრთელობის დაცვა, ფიზკულტურა და სპორტი	138,8	150,2
3. მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა	140,2	152,6
სულ	595,6	652,2

ბიუჯეტის ასიგნობათა გარდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი თანხები იქნება მიმართული სამრეწველო საწარმოთა სათანადო ფონდებიდან, კოლმეურნეობების, პროფკავშირული ორგანიზაციების სახსრებიდან.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართო განვითარება მიიღო სახალხო განათლების სისტემამ. ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი 1969 წელს 1.077 ათას მიაღწევს.

სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე, კაპიტალურ რემონტსა და ამ დაწესებულებების მოწყობილობითა და ინვენტარით აღჭურვაზე სულ 59,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება, რაც მიმდინარე წელს დამტკიცებულთან შედარებით 7 მილიონი მანეთით მეტია.

სახელმწიფო ხარჯები სკოლის და სკოლამდელი აღზრდის ღონისძიებებზე 5,2 პროცენტით, ანუ 9,4 მილიონი მანეთით იზრდება.

მნიშვნელოვნად ფართოვდება საბავშვო ბაღებისა და ბავშვთა ბაგების ქსელი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად სკოლამდელ დაწესებულებათა და ჩვილ ბავშვთა სახლების აღსაზრდელთათვის გადიდდება კვების ნორმები და ამ დანიშნულებით გაღებული იქნება დამატებით 1,2 მილიონ მანეთამდე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სასწავლებლების შესანახად მომავალი წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 60,4 მილიონ მანეთზე მეტს, რაც 3,6 მილიონი მანეთით აღემატება 1968 წლისათვის დამტკიცებულ ხარჯებს.

კვლავაც დიდი ყურადღება ეთმობა მეცნიერებას. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებათა შესანახად და მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის გარდა საკუთარი სახსრებისა ბიუჯეტიდან წარმართული იქნება 32,7 მილიონი მანეთი.

1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვან ასიგნობებს ითვალისწინებს კულტურის დარგების განვითარებისათვის. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხელოვნების, ლიტერატურის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან დაიხარჯება 24,6 მილიონი მანეთი.

საქართველოს თეატრალური ცხოვრებაში დიდი მოვლენაა ქ. ქუთაისში ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის გახსნა. მის შესანახად საჭირო თანხები გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტით.

საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულზე განსაკუთრებით ნათლად მეტყველებს მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლები, რომლებითაც ასე უხვად არის მოფენილი ჩვენი რესპუბლიკა.

ეს ძეგლები ქართველი ხალხის ბრძოლისა და შემოქმედების შესანიშნავი ისტორიული წარსულია, რომელსაც ესაჭიროება სათუთად მოვლა-პატრონობა და დაცვა. ცნობილია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენენ მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის საქმისადმი.

ამ ამოცანების შესაბამისად კულტურის ძეგლების აღდგენისა და მოვლა-შენახვის ხარჯები განუხრელად იზრდება, განსაკუთრებით ბოლო წლებში.

1969 წლისათვის ბიუჯეტიდან ასიგნობანი ამ დანიშნულებისათვის 900 ათას მანეთს მიაღწევს ნაცვლად წინა წლების 300-350 ათასი მანეთისა.

გარდა ამისა, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ისტორიული პარკ-მუზეუმისათვის ექსპონატების შესაძენად გამოყოფილია 100 ათასი მანეთი.

ვიმედოვნებ, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ღირსეულად შეასრულებს ამ მიმართულებით დასახულ ღონისძიებებს, და საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები სათანადოდ იქნება მოვლილი და აღდგენილი.

ამ საქმეში დიდი მოვალეობა აკისრიათ აგრეთვე რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

ჩვენი სახელმწიფო მუდმივ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამის მკაფიო გამოხატულებაა პარტიისა და მთავრობის ახლახან მიღებული გადაწყვეტილება ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

რესპუბლიკის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების შესანახად, ქსელის მშენებლობაზე და ჯანმრთელობის დაცვის სხვა ღონისძიებებზე დაიხარჯება 148 მილიონ მანეთზე მეტი, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებულ ასიგნობებს 11,4 მილიონი მანეთით აღემატება.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისა და სამკურნალო კერების კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია 600 ათასი მანეთი, მათ შორის 450 ათასი მანეთი მოხმარდება თბილისის საგარეუბნო კურორტებს.

ფიზკულტურისა და სპორტის განსავითარებლად ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 2 მილიონი მანეთი, აქედან სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაზე — 732 ათასი მანეთი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯება სასწავლებლების, საწარმოების, ორგანიზაციების, პროფკავშირების სახსრებიდან.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფას, იზრდება პენსიებისა და დახმარების ხაზით გასაცემი თანხების ოდენობა, რომელიც 152,6 მილიონ მანეთს აღემატება, მაშინ როცა მიმდინარე წლისათვის დამტკიცებული თანხა 140,2 მილიონ მანეთს შეადგენს.

• • •

1969 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახი ხარჯები გათვალისწინებულია 25 მილიონი მანეთის ოდენობით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამმართველო აპარატის სრულყოფასა და გამარტივებას. საჭიროა შემდგომშიც სისტემატურად უმჯობესდებოდეს აპარატის სტრუქტურა და დაცულ იქნას ეკონომიის მკაცრი რეჟიმი სამმართველო აპარატის შესანახი სახსრების ხარჯვაში.

ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ადგილობრივი ბიუჯეტები

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ხვედრი წონა აქვს ადგილობრივ ბიუჯეტებს. ეს ბიუჯეტები ნათლად ასახავენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებებს. ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა 1969 წლისათვის შეადგენს 423,4 მილიონ მანეთს, ანუ 34.6 მილიონ მანეთით მეტს მიმდინარე წელთან შედარებით.

ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო თანხიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯება 327,2 მილიონი მანეთი, ხოლო სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე — 82,4 მილიონი მანეთი — სულ კი 409 მილიონ მანეთზე მეტი, რაც ამ ბიუჯეტების საერთო თანხის 96,7 პროცენტს შეადგენს.

დაწვრილებითი მასალები ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტის შესახებ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს დაურიგდათ. ამ მასალებიდან ჩანს, რომ მომავალი წლისათვის აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტი იზრდება 4,1 მილიონი მანეთით, აჭარის ასსრ — 3,1 მილიონი მანეთით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტი — 1,3 მილიონი მანეთით, ქ. თბილისის — 8,3 მილიონი მანეთით.

1969 წლისათვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა გათვალისწინებულია რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონისთვისაც.

1967 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შედეგად მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შემოსავალმა ხარჯებს გადააჭარბა 16 მილიონი მანეთით, რაც მთლიანად ხმარდება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების კეთილმოწყობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა დამატებითი ხარჯების დაფინანსებას. ეს აძლიერებს მათს სტიმულს ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულია მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც მიმართულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, განსაკუთრებით სადაბო და სასოფლო საბჭოების უფლებათა გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებისაკენ. ამ დადგენილებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების მოცულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ბიუჯეტების შესრულების უზრუნველსაყოფად. თუ 1967 წლის ბიუჯეტი სასოფლო და სადაბო საბჭოების 27 პროცენტმა ვერ შეასრულა, ასეთი საბჭოების ოდენობა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის 13 პროცენტამდე შემცირდა.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უფრო მეტად უნდა გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა ბიუჯეტის შედგენა-შესრულების საქმეში, რათა უზრუნველყონ შემოსავლის გეგმების შესრულება როგორც მთლიანად, ისე ყოველი რაიონის, ქალაქის, დაბისა და სოფლის ბიუჯეტების მიხედვით.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა სერიოზულ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო სახსრების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას. მიუხედავად ამისა, რევიზიებისა და შემოწმებების მასალებიდან ჩანს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სახელმწიფო სახსრების უკანონოდ ხარჯვას, აგრეთვე გაფლანგვისა და მტაცებლობის ფაქტებს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას, და ამ საკითხზე მთავრობის დადგენილების განუხრელად შესრულებას.

საჭიროა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში განმტკიცდეს სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, გაძლიერდეს ბრძოლა ყოველგვარი ზედმეტობის, არასაწარმოო ხარჯების, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცების აღსაკვეთად.

• • •

ამხანაგო დეპუტატებო! 1969 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას შემოაქვს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, 1967 წლის ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში. 1.163.376 ათასი მანეთის ოდენობით, ე. ი. 105,7 პროცენტით, ხოლო გასავლის ნაწილში — 1.119,535 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 101,8 პროცენტით.

ბიუჯეტის ხარჯებზე შემოსავლის გადამეტებამ შეადგინა 43.841 ათასი მანეთი, რაც 1968 წელს მიმართულია სახალხო მეურნეობის დარგების და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიაზე წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენი სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი განუხრელი აღმავლობის და განვითარების ბიუჯეტია.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი კვლავაც თავდადებით იბრძოლებს ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისათვის და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. (ტაში).

ერთი წელი „დედამიწის ვარსკვლავმფრენში“

(დასასრული).

ექსპერიმენტის დროს გამომცდელები ცხოვრობდნენ ჰერმოკამერაში, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული საცხოვრებელი ნაკვეთურისა და ორანჟერიისაგან. ჰერმოკამერა აღჭურვილი იყო აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო მოწყობილობით. მასში მოთავსებული იყო აგრეთვე საკონტროლო-საზომი აპარატურა, საექიმო კონტროლისა და სამედიცინო კვლევის აპარატურა.

სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების მიწისზედა კომპლექსის შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო სისტემები: ჰაერის კონდიცირების; ცენტრალიზებული კონტროლისა და ელექტრონული საინფორმაციო მანქანით მართვის; სამედიცინო კვლევისა და საექიმო კონტროლის; კავშირგაბმულობის, ბგერათჩაწერის, მაგნიტური მეხსიერებისა და ვიდეოკონტროლის სისტემები; აგრეთვე ქიმიურ-ანალიზური კონტროლის საშუალებათა კომპლექსი და, ბოლოს, ექსპერიმენტის მოწყობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ საშუალებათა კომპლექსი.

ადამიანსა და სხვა სისტემებზე ცალკეულ სისტემათა ურთიერთგავლენის ყველაზე სრული ინფორმაციის მიღების მიზნით წლიური ექსპერიმენტი პროგრამის თანახმად მოეწყო სამ ეტაპად, რომლებიც ითვალისწინებდნენ სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების თანმიმდევრულ ჩართვას. ამან შესაძლებელი გახადა ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე მთავარი ყურადღება მიექციათ წყლით უზრუნველყოფის პრობლემისათვის, მეორე ეტაპზე — ექსპერიმენტული ორანჟერიის მუშაობის ეფექტიანობის კვლევისა და მესამე ეტაპზე — ჟანგბადით უზრუნველყოფის პრობლემისათვის.

პირველ ეტაპზე, რომელიც 1967 წლის 5 ნოემბერს დაიწყო, ჰერმოკამერაში ჩართეს შარდიდან წყლისა და ატმოსფერული ტენის კონდენსატის რეგენერაციის სისტემა და ჟანგბადის რეგენერაციისა და ნახშირორჟანგისაგან ჰაერის გაწმენდის სისტემა მაღალეფექტიანი ჟანგბადშემცველი ნაერთების გამოყენებით.

ექსპერიმენტის პირველი ეტაპის დროს დაამუშავეს სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებათა მოცულობა.

ამ პერიოდში აგრეთვე დააზუსტეს გამომცდელთა შრომისა და დასვენების რეჟიმი, რომელსაც საფუძვლად დაედო გამომცდელთა მიერ შესასრულებელ მოვალეობათა შეთავსების პრინციპი. მათი სამუშაო დღე იწყებოდა დილის შვიდ საათზე სამედიცინო კვლევითა და ფიზიკური ვარჯიშით.

პირველ ეტაპზე აგრეთვე საბოლოოდ დაამუშავეს გამომცდელთა კვების სისტემა. ულუფის მენიუ დგებოდა ხუთი დღისათვის, რაც შემდგომ მეორდებოდა. სადღესასწაულო დღეებში გათვალისწინებული იყო პროდუქტების სპეციალური შენარჩევი. სადღეღამისო კვება ოთხჯერადი იყო.

წყლის რეგენერაციის სისტემები პირველ და მომდევნო ეტაპებზე უზრუნველყოფდა ხარისხოვანი სასმელი წყლის მიღებას საჭმლის მოსამზადებლად და სასმელად.

1968 წლის 22 იანვრიდან დაიწყო წლიური ექსპერიმენტის მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე ჩართეს ექსპერიმენტული ორანჟერია, რომელიც „მწვანე კონვეიერის“ რეჟიმით მუშაობდა. ექსპერიმენტის პროცესში დადგინდა, რომ შესაძლებელია დახშული მოცულობის გარემოში ნორმალურად მოიყვანონ უმაღლესი მცენარეები, როცა შიგ იმყოფება ადამიანი და მრავალგზის გამოყენებულია მცენარეთა ფოთლებიდან გამოყოფილი წყალი ნიადაგის შემცვლელის მოსარწყავად.

შუა მეორე ეტაპში კომპლექსში ჩართეს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო წყლების რეგენერაციის დამატებითი, თავდაპირველად გაუთვალისწინებელი სისტემა პირის დაბანისა და შხაპისათვის, რომელიც ნორმალურად მუშაობდა ექსპერიმენტის დამთავრებამდე. მის ჩართვამდე სანიტარულ-საყოფაცხოვრებო წყალი გამოყენების შემდეგ გამოდიოდა წრებრუნვიდან.

1968 წლის 5 მაისს დაიწყო წლიური ექსპერიმენტის მესამე, უკანასკნელი ეტაპი.

გამორთეს ჟანგბადის რეგენერაციისა და ნახშირორჟანგის შთანთქმის სისტემა, რომელიც ემყარება ნახშირორჟანგის შემცველი შენაერთების გამოყენებას, და შეუერთეს ახალი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰერმოკამერის ატმოსფეროს ყველაზე სრულ რეგენერაციას: ნახშირორჟანგისაგან ატმოსფეროს გაწმენდისა და რეგენერირებული სინთეზური ცეოლიტების გამოყენების სისტემას, რომელიც ნახშირორჟანგის შთანთქმისა და კონცენტრირების ბლოკებისაგან შედგება, წყლის ელექტროლიზური დაშლის (ელექტროლიზური დანადგარი) გზით ჟანგბადის მიღების სისტემა, ნახშირორჟანგის კატალიზური ჰიდრირების სისტემა (უტილიზაციის ბლოკი) ელექტროლიზურ დანადგარში წარმოქმნილი წყლის დაბრუნებით.

ატმოსფეროს გაწმენდის სისტემა იცავდა ნახშირორჟანგის კონცენტრაციას საცხოვრებელ ნაკვეთურებში 0,3-0,5 პროცენტის დონეზე.

ექსპერიმენტის მესამე ეტაპის დროს დამატებით ჩართეს სამზარეულო (ჭურჭლის გასარეცხი) წყლის რეგენერაციის ლაბორატორიული სისტემა, რამაც უზრუნველყო სანიტარულ-საყოფაცხოვრებო წყლის პრაქტიკულად სრული წრებრუნვა.

რეგენერაციის შედეგად ექსპერიმენტის დროს მიღებული წყლის საერთო რაოდენობამ შეადგინა 6 ტონა, აქედან: შარდის წყლისა და ატმოსფერული ტენის კონდენსატისამ — 2,9 ტონა და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო წყლისამ — 3,1 ტონა. 7 ტონას მიაღწია ყველა ნივთიერების შეჯამებულმა რაოდენობამ, რაც ექსპერიმენტის დროს იყო მიღებული რეგენერაციისა და კვლავწარმოების შედეგად.

ექსპერიმენტის პროგრამაში ყველაზე მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა კლინიკურ-ფიზიოლოგიურ დაკვირვებასა და კვლევას. სწორედ ამას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე — ვარგა თუ არა სიცოცხლის უზრუნველყოფის არჩეული სისტემები ასეთი დიდი დროისათვის, რამდენად უსაფრთხო და ეფექტიანია ისინი. გამოკვლევის სისტემა მოიცავდა ადამიანის ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა ფუნქციას. სხეულის წონა, ტემპერატურა, მაჯისცემის სიხშირე, სუნთქვის რიტმი, არტერიული წნევის სიდიდე, თავისი გუნება-განწყობის საკუთარი შეფასება — აი ის ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით მსჯელობდნენ გამომცდელთა მდგომარეობაზე.

მსოფლიოში პირველად განხორციელებული წლიური სამედიცინო-ტექნიკური ექსპერიმენტი სამი გამომცდელის მონაწილეობით წარმატებით დამთავრდა 1968 წლის 5 ნოემბერს. იგი მოეწყო კვლევის პროგრამის სრული შესაბამისობით.

ამჟამად გამომცდელები კარგად გრძნობენ თავს. პროგრამის შესაბამისად მათ გაიარეს კლინიკურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევა და ხანმოკლე დასვენების შემდეგ შეუდგებიან მუშაობას.

ექსპერიმენტის პროცესში მიღებულია საყურადღებო და ვრცელი ინფორმაცია, რომელსაც დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მეტად რთული იყო კომპლექსის სისტემების დამუშავება, მისი ექსპლოატაციის შეუფერხებელი ორგანიზაცია. და საიმედო მუშაობის უზრუნველყოფა. ამან მოითხოვა გამომცდელთა და ექსპერიმენტის მონაწილე კოლექტივთა დიდი მუშაობა, რომლებიც მთელი წლის მანძილზე შემოქმედებითად მონაწილეობდნენ ექსპერიმენტის მოწყობის სამუშაოში, ოპერატიულად აღმოფხვრიდნენ წარმოქმნილ უწესივრობას და სრულყოფდნენ აპარატურას, ფიზიოლოგიურ-ჰიგიენური და ბიოლოგიურ-ტექნიკური კვლევის სისტემებსა და მეთოდებს.

უნიკალური წლიური სამედიცინო-ტექნიკური ექსპერიმენტის წარმატებით მოწყობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევაა და ხელს შეუწყობს დედამიწის გარეთ ადამიანის ცხოვრების უზრუნველყოფის დარგში სამუშაოთა შემდგომ განვითარებას. (საქტაგი).

საერთაშორისო ცხოვრება

„აპოლონ-8“ გავიდა მთვარის ირგვლივ ორბიტაზე

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საქტაგი). დღეს 13 საათზე მოსკოვის დროით ამერიკის კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-8“ მთვარისაკენ ფრენის ტრაექტორიიდან გადავიდა ელიფსურ სელენოცენტრულ ორბიტაზე. ცნობა ამის შესახებ დაგვიანებით მოვიდა, რამდენადაც ამ ორბიტაზე გადასასვლელად ძრავის ჩართვის მომენტში ხომალდი მთვარის უხილავი მხარის თავზე იყო და დედამიწასთან არ ჰქონდა კავშირი წინასწარი მონაცემებით, სელენოცენტრული ორბიტის პარამეტრები გაანგარიშებულს უახლოვდება. პერისელენის სიმაღლე შეადგენს 112 კილომეტრს, აპოსელენის სიმაღლე — 312 კილომეტრს.

ხომალდმა ამ ორბიტით ორჯერ უნდა შემოუაროს მთვარეს და 17 საათსა და 22 წუთზე გადავიდეს წრიულ სელენოცენტრულ ორბიტაზე, რომლის სიმაღლე 112 კილომეტრი იქნება. წრიული ორბიტით ხომალდი რვაჯერ შემოუვლის მთვარეს. ხვალ დილის ცხრა საათზე პროგრამით გათვალისწინებულია დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გადასვლა. აპირებენ ტელევიზიის ორი სეანსის გადმოცემას ერთს—ელიფსური, ხოლო მეორე წრიული სელენოცენტრული ორბიტიდან. კოსმონავტები დედამიწაზე 27 დეკემბერს უნდა დაბრუნდნენ.

იტალიის ახალი მთავრობა

რომი, 23 დეკემბერი, (საქტაგი). მთავრობის პროგრამის თაობაზე კამათის შედეგად იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატამ დღეს ნდობის ვოტუმი გამოუცხადა მ. რუმორის მიერ ჩამოყალიბებულ კაბინეტს. მთავრობისადმი ნდობას ხმა მისცა 351 დეპუტატმა (ქრისტიანულმა დემოკრატებმა, სოციალისტებმა და რესპუბლიკელებმა), წინააღმდეგ — 247 დეპუტატმა (კომუნისტებმა, იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიისა და სხვა ოპოზიციურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებმა), ორმა დეპუტატმა თავი შეიკავა. წინათ მ. რუმორის მთავრობას უკვე დაუჭირა მხარი პარლამენტის მეორე პალატის სენატის უმრავლესობამ.

დღევანდელი კენჭისყრის შემდეგ იტალიის ახალი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს ქრისტიანი დემოკრატი მ. რუმორი და რომელიც შედგება ეგრეთწოდებული „მემარცხენე ცენტრის“ პარტიების (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, იტალიის სოციალისტური პარტია და რესპუბლიკური პარტია) წარმომადგენლებისაგან, ოფიციალურად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

სპორტი

ჭადრაკი

გუშინ რიგაში დამთავრდა საკავშირო გუნდური პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონი გახდა „ბურევესტნიკი“. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს შეიარაღებული ძალებისა და „სპარტაკის“ გუნდებმა.

ფეხბურთი

დონეცკის „შახტიორმა“ ლიბიაში დაამარცხა ტრიპოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 3:1.

„ფრანს ფუტბოლის“ პრიზი — „ოქროს ბურთი“ მოიპოვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა ჯ. ბესტმა. მეორე ადგილზე გამოვიდა **ბ. ჩარლტონი,** მესამეზე **დ. ჯაიჩი.** **ა. შესტერნიოვი** მე-12 იყო, **მ. ხურცილავა** 24-ე.

კალათბურთი

სტარტი აიღო კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატმა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა პირველ ორ მატჩში დაამარცხა კიევისა და მოსკოვის დინამოელები 55:46, 40:32.

წყალბურთი

ბელგრადში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში იუგოსლავიის „მლადოსტმა“ დაამარცხა მაგდებურგის „დინამო“ 3:1.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის —93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 04371

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.